21(176) 9 ივნისი, 2000 წ პარასკევის გამოშვება 30 თეთრი

# ჯვარედინი 2000



## ანა თუ იცნობთ

- გურულის სახლი
- სისხლძარღვი
- ფოტო №1 – იცანით?
- ფოტო №3 – იცანით?
- იოსელიანი
- ქალაქი ფინეთში
- ფოტო №6 – იცანით?
- ლენონის ცოლი
- რომის პაპს ახურავს
- ავეჯის ნაწილი
- პლანეტა
- რძეში მოხარშული ცომი
- ქალაქი უკრაინაში
- აშული შ.აზიაში
- (....) კორჩაკი
- ფოტო №4 – იცანით (წოდ.ბრ.)
- ყველას თავისი წილი აქვს
- ფოტო №2 – იცანით?
- ქალაქი ესპანეთ.
- თვალს აქვს
- ჩვენი მდინარე
- ძვ.რომაული ქალღმერთი
- უკეთური
- ფანქარშია
- რუს გვარებშია
- ბურთი მომეცი!
- საბჭოთა ავტომობილი
- საწვრთნელი ველი
- სითბოიზოლატორი
- დიდი მოხელე ძვ.სპარსეთში
- იგივე ილიონი
- (....) კრამლინგი
- ლიტვის მდინარე
- ძვ.გერმ. მოჭადრ.
- თხები ინგლ. დრამატურგი
- (.....)საფაროვა-აბაშიძე
- ძველი
- (....) მაკფერსონი
- ილბალი
- ფოტო №5 – იცანით?
- ძვ.რეჯისორი ამო (.....)ნაზაროვი
- ჩვენი ასო
- შავი დღისთვის
- შარიფი
- დიდი სპარს. პოეტი
- ვორერას წინაა
- ფრენის გახმოვანება
- დაპრესილი ფორმა
- საწვავი
- ძველებური სასმისი
- ბელადის დედა
- არ დასთანხმდა ანუ?
- სტატუსის შემდეგ
- საკვები №1
- ბარის წინაა
- (.....) საიმონი
- ჩვენი კონიაკი
- ხე


1


2


3


4


5


6

## სხვათა შორის იცით თუ არა

...რომ კომპიუტერული მაგნატის, ბილ გეიტსის ქონება დღესდღეობით 90 მილიარდ დოლარს შეადგენს.

...რომ ადამიანი, რომელიც მცირეოდენ მაინც არ არის იუმორისტი, მცირეოდენი ადამიანია.

...რომ ერთხელ ჰუგენოტებმა ლაშქრობისას უზარმაზარი ზარბაზანი გაიყოლეს თან, რომელსაც „დედა-დედოფალს" ეძახდნენ. ეკატერინე მედიჩი დაინტერესდა, თუ რად უწოდეს ამ ზარბაზანს მისი სახელი და ერთმა ქვეშევრდომმა დაუკვირვებლად უპასუხა – „იმიტომ, მადამ, რომ ამ ზარბაზანს სხვებთან შედარებით ყველაზე დიდი კალიბრი აქვს...". და დედოფალს თავადაც გაეღიმა ამ ერთობ ორაზროვანი ხუმრობის მოსმენისას.

... რომ საერთო წონა ბაქტერიებისა, რომლებიც ადაიანის სხეულში ბინადრობენ, ორ კილოგრამს შეადგენს.

...რომ ტყეში სამხრეთი მხარის დასადგენად უნდა შეხედოთ ხეს... და თუ ეს ხე პალმაა, ესე იგი თქვენ უკვე სამხრეთში ხართ..

...რომ ლეონარდო და ვინჩის სახლში ყველა მსახურს იდუმალი ღიმილი ეკერა სახეზე.

...რომ პოლ მაკარტნის პირადი ქონება 500 მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენს.

...რომ ვირთხები დედამიწაზე 48 მილიონი წლით ადრე გაჩნდნენ, ვიდრე ადამიანი.

...რომ მსოფლიო ოკეანის ყველაზე დიდი სიღრმე მარიანის ღრმულში (იაპონიის არქიპელაგის მახლობლად) 10 924 მეტრს შეადგენს და 1 კილოგრამის მქონე ფოლადის ბურთულას 64 წუთი დასჭირდება, რათა ამ ადგილას ოკეანის ფსკერამდე ჩააღწიოს.

...რომ შტატ კანზასის სახელი სიტყვასიტყვით ნიშნავს – „სამხრეთის ქარის ადამიანები".

**აიშა** - ქალაქი ეთიოპიაში.

**აიშე** - თურქი ქალების სახელი.

**აიძუვააკამაცუ** - ქალაქი იაპონიაში, კ. ჰონსიუზე.

**აიხბიული** - სოფელი გერმანიაში, სადაც ნეოლითის ხანის ნასოფლარია აღმოჩენილი.

**აიხალი** - ქალაქის ტიპის დასახლება იაკუტიაში.

**აიხენდორფი** იოზეფ - XIX ს გერმ. მწერალი.

**აიხი** გიუნტერ - XX ს გერმ. მწერალი.

**აკა** - სელმა ლაგერლოფის „ნილსის თავგადასავლის" პერსონაჟი ბატი.

**აკაბა** - 1) წითელი ზღვის ყურე. 2) ქალაქი იორდანიაში.

**აკაბორი** სირო - XX ს იაპონელი მეცნიერიბუნებისმეტყველი.

**აკადემე** - ძვ.ბერძ. ატიკელი გმირი, მის სახელ უკავშირდება ათენთან აკადემიის ბაღის დაარსება.

**აკადემია** - სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებათა სახელწოდება.

**აკადემიადა** - აკადემიის თანამშრომელთა შეჯიბრი სპორტში.

**აკადემიზმი** - XVI-XIX სს მიმართულება მხატვრობაში.

**აკადემიკოსი** - სათანადო აკადემიის წევრი მეცნიერი.

**აკადემიური** ნიჩბოსნობა - სპორტის საწყალოსნო სახეობა

**აკადი** აბას მაჰმუდ - XX ს ეგვიპტელი კრიტიკოსი და პუბლიცისტი.

**აკაევი** ასკარ - ყირგიზეთის პრეზიდენტი 1990 წლიდან.

**აკავრეთა** - მდინარე ქედის რ, იგივე მერისი.

**აკაზმები** - ვერტიკალური საქსოვი დაზგა თუშეთში.

**აკაზმულობა** - საჯდომი, საკიდარი და შესაბმელი ცხენის მორთულობა.

**აკათისტო** - საგალობელი საკითხავი მართლმადიდებლურ ეკლესიაში.

**აკაკი** - მცენარეების გვარი თელისებრთა ოჯახისა.

**აკაკიანი** - აკაკის ხის მცენარეთა ფორმაცია.

**აკალამრა** - სოფელი გუდაუთის რ

**აკალი** - ნეოლითის ხანის ნამოსახლარი ესტონეთში.

**აკამანტი** - ძვ. ბერძ. ათენელი გმირი, თეზევსისა და ფედრას ვაჟი.

**აკამბა** - ხალხი სამხრეთ კენიაში.

**აკამფსისი** - მდინარე ჭოროხის ანტიკური სახელი.

**აკანათი** - ძუის მახე ფრინველთა დასაჭერად.

**აკანთო** - მცენარეების გვარი აკანთოდებრთა ოჯახისა, უმეტესად ბალახია.

**აკანთოცეფალები** - პარაზიტული ჭიების კლასი.

**აკანთოცეფალოზი** - პარაზიტული ჭიებით გამოწვეული დაავადება.

**აკანიშთხა** - ბუდიზმში უზენაეს არსებათა სამყოფი ციური სფერო.

**აკაჟუ** - ხე თუთუბოსებრთა ოჯახისა.

**აკაპულკო** - ოკენისპირა კლიმატური კურორტი მექსიკაში.

**აკარააპიდოზი** - ფუტკრის ქრონიკული ინვაზიური დაავადება.

**აკარიგუა** - ქალაქი ვენესუელაში.

**აკარიციდები** - ტკიპების საწინააღმდეგო ქიმიური ბრძოლის საშუალება.

**აკარნანია** - მხარე შუა საბერძნეთში.

**აკაროზი** - ცხოველის ინვაზიური ქრონიკული დაავადება.

**აკაროლოგია** - ტკიპების შემსწავლელი დარგი ზოოლოგიისა.

**აკასი** - ქალაქი და ნავსადგური იაპონიაში.

**აკაურთა** - სოფელი ბოლნისის რ

**აკაფა** - სოფელი სოხუმის რ

**აკაცია** - მცენარეთა გვარი მიმოზისებრთა ოჯახისა.

**აკაჰატა** - იაპონური ყოველდღიური გაზეთი.

**აკე** (აკო) - კოლხეთის მეფე ძვ.წ.აღ. III ს.

**აკეთი** - სოფელი ლანჩხუთის რ

**აკელა** - რადიარდ კიპლინგის „მაუგლის" პერსონაჟი მგელი.

**აკერა** - მდინარე აზერბაიჯანში, არაქსის მარცხ. შენაკადი.

**აკერი** - ძვ.ეგვიპტურ მითოლოგიაში მიცვალებულთა მფარველი ღვთაება.

**აკესო** - ქალურ ავადმყოფობათა მკურნალობის ღმერთქალი ძვ. საბერძნეთში.

**აკვავივა** კლაუდიო - XV–XVI ს იეზუიტთა ორდენის მოღვაწე, ლოიოლას საქმის განმგრძობი.

**აკვაკულტურა** - თევზის მოშენება.

**აკვალანგი** - წყალქვეშ სასუნთქი აპარატი.

**აკვამარინი** - ზღვის წყლისფერი მინერალი.

**აკვამეტრია** - ნივთიერებაში წყლის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდი.

**აკვანავტი** - წყალქვეშ მომუშავე.

**აკვანება** - VI-VII სს ხუროთმოძღვრების ძეგლი ბოლნისის რ

**აკვანი** - ჩვილის საწოლი.

**აკვაპლანი** - პატარა ფიცარი წყალზე სასრიალოდ.

**აკვარათაბა** - მდინარე ოჩამჩირის რ

**აკვარელი** - წყალში გასახსნელი საღებავი.

**აკვარიდები** - მეტეორული ნაკადები.

**აკვარიკვარა** - მდინარე ოჩამჩირის რ

**აკვარიუმი** - წყლის ბინადართა მოსაშენებელი მინისკედლებიანი ჭურჭელი.

**აკვარიქვა** - სოფელი გალის რ

**აკვასკია** - სოფელი ოჩამჩირის რ

**აკვასქემწა** - სოფელი გუდაუთის რ

**აკვატინტა** - გრავიურის ერთ-ერთი სახე.

**აკვატიპია** - სურათების ბეჭდვა არაზეთოვანი საღებავით.

**აკვატორია** - დადგენილ საზღვრებში მოქცეული ზღვის ან პორტის სივრცე.

**აკვაფორტე** - იგივეა, რაც ოფორტი.

**აკვაღა** - სოფელი გალის რ

**აკვედუკი** - ხიდი, რომლითაც გადაყვანილია წყალსადენი მილი.

**აკვიზატორი** - სატრანსპორტო ან სადაზღვევო საწარმოს აგენტი.

**აკვილიუსი** მანიუს - II ს რომაელი პოლიტ. მოღვაწე.

**აკვინკუმი** - რომის იმპერიის დროინდელი ქალაქი ახლანდელი უნგრეთის ტერიტორიაზე.

**აკვიტანია** - საფრანგეთის ისტ. ოლქი.

**აკი** - გაკვირვება-დადასტურების გამომხატველი ნაწილაკი.

**აკია** - პერსონაჟი ფილმისა „შეხვედრა წარსულთან".

**აკიბა** - მთა გალისა და ოჩამჩირის რ

**აკიდო** - ვაზის მოკლედ აჭრილი წყვილმტევნიანი რქა.

**აკიმი** - პერსონაჟი ფილმისა „არაჩვეულებრივი გამოფენა".

**აკიმოვი** ნიკოლოზ - რუსი რეჟისორი და მხატვარი.

**აკინაკი** - სკვითების ორლესული მახვილი.

**აკინეზია** - ნებისმიერი მოძრაობის უნარის დაკარგვა.

**აკინი** - სახალხო მთქმელი-მომღერალი შუა აზიასა და ყაზახეთში.

**აკინო** კორასონ - ფილიპინების პრეზიდენტი 1986 წლიდან.

**აკირა** - ქალაქი და პრეფექტურა იაპონიაში კ ჰონსიუზე

**აკიტა** - ქალაქი იაპონიაში კ ჰონსიუზე.

**აკიტა უძიაკუ** - XX ს იაპონელი მწერალი.

**აკილვრა** - მთა გუდაუთის რ

**აკიჰიტო** - იაპონიის იმპერატორი 1989 წლიდან.

**აკლამაცია** - კრების მიერ რაიმე წინადადების მიღება ხმის დაუთვლელად.

**აკლდამა** - სამარხი ნაგებობა.

**აკლება** - დანაშაულის სახე შუა სს საქართველოში.

**აკლიმატიზაცია** - ორგანიზმის შეგუება ახალ საარსებო პირობებთან.

**აკმე** - რაიმეს უმაღლესი ხარისხი, აპოგეა.

**აკმეიზმი** - მოდერნისტული მიმართულება XX ს დასაწყისის რუსულ პოეზიაში.

**აკმიანე** - ქალაქი ლიტვაში.

**აკმოლა** - ქალაქ ცელინოგრადის (ყაზახეთი) ძველი სახელი (ამჟამად ასტანა).

**აკმონი** - ერთ-ერთი დაქტილთაგანი, დაქტილესა და იდეას ვაჟი.

**აკნეხისწყალი** - მდინარე დუშეთის რ

**აკო** - ძვ. საბერძნეთში ბავშვების დასაშინებელი საფრთხობელა.

**აკოლა** - ქალაქი ცენტრ. ინდოეთში.

**აკოლადა** - ფრჩხილი, რომელიც აერთებს რამდენიმე ხუთხაზიან სანოტო სისტემას.

**აკოლოთი** - მერიგე თუ რიგი (საბა)

**აკომოდაცია** - შეწყობა, შეგუება, იგივე ადაპტაცია

**აკომპანემენტი** - მუსიკალური თანხლება.

**აკომპანიატორი** - აკომპანემენტის შემსრულებელი, ჩვეულებრივ პიანისტი.

**აკონიტუმი** - მცენარეთა ხარისძირასებრთა ოჯახისა, ტილჭირი.

**აკონკაგუა** - მწვერვალი სამხრ. ამერიკის ანდებში (6960 მ)

**აკონტიოსი** - სიმდიდრითა და სილამაზით ცნობილი დელფოსელი გმირი ძვ. საბერძნეთში

**აკორდეონი** - მუსიკალური ინსტრუმენტი.

**აკორდი** - მუს. ბგერების შეხმატკბილებული ჟღერა.

**აკოსტა** ურიელ - XVII ს პორტუგალიაში მოღვაწე ებრაელი მოაზროვნე.

**აკოფიანი** აკოფ - XX ს სომეხი პოეტი, დაკრძალულია თბილისში.

**აკრა** - განის რესპ. დედაქალაქი.

**აკრატოფორი** - რეზერვუარის წესით შამპანური ღვინის დასაყენებელი აპარატი.

**აკრედიტება** - დიპლ. პირის უფლებამოსილების ცნობის პროცესი.

**აკრედიტივი** - კრედიტის მისაღები სახელობითი დოკუმენტი.

**აკრეცია** - ნივთიერების ვარდნა კოსმიურ სხეულზე მიზიდულობის ძალით.

**აკრი** - 1) შტატი ბრაზილიაში. 2) ფართობის საზომი ერთეული - 4046,86 კვ.მ.

**აკრიბია** - დიდი სიზუსტე.

**აკრიდინი** - ორგანული ნაერთი, ღია ყვითელი ნემსისებრი კრისტალები.

**აკრილატები** - აკრილმჟავას ეთერები.

**აკრილმჟავა** - უჯერი ორგანული მჟავა, მძაფრსუნიანი უფერო სითხე.

**აკრილონიტრილი** - ორგანული ნაერთი, დამახასიათებელი სუნის უფერო სითხე.

**აკრისიოსი** - არგოსის მითიური მეფე.

**აკრიქინი** - მალარიის საწინააღმდეგო სინთეზური სამკურნალო პრეპარატი.

**აკრობატი** - ცირკის მსახიობი ან სპორტსმენი.

**აკრობატიკა** - ტანვარჯიშის სახეობა.

**აკრობოლისტები** - ძვ. საბერძნეთში მსუბუქად შეიარაღებული ცხენოსანთა რაზმები.

**აკროიდი** პიტერ - XX ს ინგლისელი მწერალი.

**აკროკეფალია** - თავის ქალის „კოშკისებური" ფორმა.

**აკროლეინი** - ორგანული ნაერთი, მომწამლავი ნივთიერაბა.

**აკრომეგალია** - ძვლებისა და რბილი ქსოვილების პათოლოგიური ზრდა.

**აკრონი** - ქალაქი აშშ-ს ოჰაიოს შტატში.

**აკრონიმი** - იგივე აბრევიატურა.

**აკროპოლისი** - ძვ.ბერძნული ქალაქების ყველაზე მაღალი და გამაგრებული ნაწილი.

**აკროსტიქი** - ლექსი,

(1300)

# 20 საკითხი უცხო სიტყვათა მოყვარულთათვის

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ე | ვ | რ | ი | ა | ც | ი | ა | ა | მ | ი | ნ | ა | ი | ც | ა |
| დ | ე | შ | ა | ლ | უ | პ | ი | ნ | ი | ბ | დ | ი | ვ | ი | ზ |
| ი | ა | ც | ი | ა | ი | ფ | ა | რ | ბ | ო | ნ | ი | ზ | დ | ი |
| ტ | ტ | ა | ი | ც | ო | გ | ო | გ | ლ | ი | ტ | ა | მ | უ | დ |
| რ | ნ | ნ | ი | ტ | ქ | ა | ნ | ო | ი | ც | ა | კ | ი | უ | ი |
| ა | ა | ტ | კ | ფ | ი | ლ | ო | ტ | ე | ქ | ლ | ი | ზ | მ | რ |
| დ | ლ | ი | ა | ო | ო | რ | რ | ნ | ტ | რ | ა | ც | ა | ი | ბ |
| ნ | პ | ს | ნ | რ | პ | ა | პ | ო | კ | ი | მ | ე | ტ | ჰ | ი |
| ა | ტ | ს | ა | რ | ტ | ნ | ჟ | ე | რ | ე | ზ | პ | ო | რ | ი |
| ო | ი | ა | ო | რ | ი | რ | პ | ფ | ა | ა | ი | ტ | მ | რ | ო |
| ნ | ს | ი | ტ | ო | ვ | ო | ა | ი | ნ | ა | ტ | ი | ა | ც | ფ |
| ა | ე | ფ | ა | კ | ა | ბ | ი | ფ | ა | რ | ი | ვ | ი | ი | ნ |
| ლ | ფ | ა | რ | გ | ტ | ს | ლ | ი | ზ | გ | ო | ნ | კ | ა | ი |
| ი | ო | რ | პ | ო | ე | რ | ო | ქ | ა | ც | ი | ა | დ | ე | ზ |

1. სპეციალური მომინული სათავსი თბილი ქვეყნების მცენარეთა მოსაშენებლად.
2. ადამიანი, რომელიც გაცემისა და ღალატის მიზნით მოწოდებებს აკრძალული ქმედებებისაკენ ავრცელებს .
3. ქმედება, რომელიც გავლენიანი პირის დახმარებასა და მფარველობას ეფუძნება.
4. ცეკვებისა და საბალეტო წარმოდგენების დადგმის ხელოვნება.
5. ქმედებათა ერთობლიობა, რაც მოვლენათა უკეთური განვითარებისაგან წინასწარ თავის დაზღვევას ემსახურება.
6. ქმედება, რომელიც ერთი სხეულისაგან წარკვეთილი ნაწილის სხვა სხეულზე გადანერგვას გულისხმობს.
7. ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალება.
8. ქმნილება, რომელსაც ბადალი არ ჰყავს მისებრ ქმნილებათა შორის.
9. ქიმიური პროცესის დამაჩქარებელი ან შემნელებელი, მაგრამ თავად უცვლელი, ნივთიერება.
10. თავისი საქმის ზედმიწევნით კარგად მცოდნე.
11. ყალბი ცნობების გავრცელებელი ინფორმაციის მასობრივი საშუალებების მეოხებით.
12. მითოლოგიური თუ ისტორიული პირების ან მოვლენების გამოსახულებათა შესწავლა და აღწერა.
13. აწრიალებულ-აჩოჩქოლებულ მოვლენათა მომდევნო მშვიდი ვითარების დასადგურების პროცესი.
14. მცენარეების ან ცხოველების სხვადასხვა სახეობის შეჯვარება გაუმჯობესებული სახესხვაობის მისაღებად.
15. დამოუკიდებლად არსებული ორგანიზმი თუ არსება.
16. რაიმე საგნის, საკითხის შესახებ არსებული ლიტერატურის სია.
17. რაიმე რთული მოქმედება, რთული ხერხი ხელით მუშაობისას.
18. დიდი ვაჭარი, რომელიც ბითუმად ვაჭრობას აწარმოებს, უპირატესად უცხო ქვეყნებში.
19. ფრიად და ფრიად გარდარეული სიყვარული ამა თუ იმ პირის ან მოვლენისადმი.
20. ნიმუშო, რასაც ზომის, ფორმის. ხარისხის და სხვა მონაცემების მიხედვით უნდა შეესაბამებოდეს ესა თუ ის ნაწარმი.

## სხვათა შორის იცით თუ რა

...რომ პირველი ორთქლმავლის შემქმნელი ძმები ჩერეპანოვები თავის თავს „ანა კარენინას" თანაავტორად თვლიდნენ.

...რომ 1348-49 წლებში, როცა „შავი ჭირი" პირველად გავრცელდა დიდი ბრიტანეთის კუნძულებზე, ამ ქვეყნის მოსახლეობის ნახევარი განადგურდა. დედოფალ ელისაბედ I-ის მმართველობისას კი 4 მილიონი დიდბრიტანელი ემსხვერპლა ამ საშინელ სნებას.

...რომ ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანე ყოველწლიურად 37 000 კვ.კმ ფართობის ყინულს კარგავს, რაც სიდიდით უელსის ტერიტორიას აღემატება.

...რომ 90% ნებისმიერი საქმიანობისა სრული იდიოტიზმია.

...რომ მეცნიერების აზრით უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში დედამიწის რადიუსი 7 მეტრით შემცირდა.

## ფანტაზიის დიდოსტატები



# მარია სკლოდოვსკაია-კიური

*იგი ყოველთვის პირველი იყო! იგი პირველი იყო, ვინც ორი ახალი ელემენტის — პოლონიუმის და რადიუმის — არსებობა გაიგო. იგი პირველი იყო, ვინც რადიოაქტიურობას რადიოაქტიურობა უწოდა და მისი პირველი მსხვერპლიც თავად შეიქნა. მარია ევროპაში პირველი ქალი იყო, ვინც მეცნიერებათა დოქტორი გახდა. პირველი ქალი, ვინც სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი გახდა. პირველი ნობელიანტი პოლონეთიდან. პირველი პიროვნება, ვისაც ორი ნობელის პრემია მიენიჭა. იგი პირველი ქალია, ვინც ნობელიანტი ქალიშვილის დედა გახდა. იგი პირველი ქალია, ვინც საფრანგეთის უდიდეს შვილთა გვერდით დაასვენეს პანთეონში.*

მანია - როგორც მას ბავშვობაში ეძახდნენ - 1867 წლის 7 ნოემბერს დაიბადა ვარშავაში. დედამისი პიანისტი და მომღერალი ბრონისლავა ბოგულსკა იყო, მამა კი - მათემატიკისა და ფიზიკის პროფესორი - ვლადისლავ სკლოდოვსკი. თავისი პირველი ოქროს მედალი მარიამ 16 წლის ასაკში, ლიცეუმის დამთავრებისას მიიღო; დარჩენილ ცხოვრებაში კი კიდევ 15 ოქროს მედალი და 19 სხვადასხვა ხარისხი და ტიტული ელოდა ცხოვრებაში.

1891 წელს მარია პარიზში ჩავიდა და დაიწყო ცნობილი ფიზიკოსების და მათემატიკოსების ლექციებზე დასწრება სორბონაში. იგი სტუდენტურ კვარტალში, ერთი ბნელი და ცივი სახლის სახურავზე ცხოვრებდა, თუმცა იმ პერიოდის შესახებ მას ასეთი ჩანაწერი აქვს გაკეთებული – „ჩემთვის უეცრად ახალი სამყარო გაიხსნა, სადაც ნება დამრთეს შევსულიყავი და სრული თავისუფლება მეგრძნო“.

ფიზიკოს-კურსდამთავრებულთა შორის 1893 წელს მისი გვარი პირველ ადგილზე ფიგურირებდა, 1894 წელს იგი პარიზის მეორე მათემატიკოსად აღიარეს, იმავე წელს იგი პიერს შეხვდა. პიერი მაშინ 35 წლის, საკმაოდ ცნობილი ფიზიკოსი იყო და ლაბორატორიას ხელმძღვანელობდა, სადაც მომავალ ინჟინრებს ფიზიკისა და ქიმიის კურსს უტარებდა, თუმცა ძალზედ აგდებულად ეკიდებოდა საკუთარ კარიერას. ერთი სიტყვით იდეალისტი და მეოცნებე იყო.... და აი, 1895 წლის 25 ივლის ენერგიულმა, მიზანდასახულმა მარიამ და მეოცნებე პიერ კიურიმ იქორწინეს. მშობლებმა ახლადდაქორწინებულებს მცირეოდენი ფული აჩუქეს, რითაც მათ ორი ველოსიპედი იყიდეს.

1896 წელს ანრი ბეკერელმა ახალი მოვლენა აღმოაჩინა, რომელსაც მარიამ მოგვიანებით რადიოაქტიურობა უწოდა. სწორედ მაშინ ახალგაზრდა ცოლქმარი თემას დაეძებდა მომავალი დისერტაციისათვის და აღნიშნული მოვლენის გამოჩენამ მათ დიდი სამუშაო გაუჩინა, რაც ასე გაინაწილეს: პიერს ახალი ელემენტების ფიზიკური მახასიათებლებეს შექმნა ევალებოდა, მარიას კი - ფიზიკური სამუშაო. მარია წერდა: „ზოგჯერ მე მთელი დღეების განმავლობაში მიხდებოდა ჩემი სიმაღლის უზარმაზარ ქვაბში მდუღარე მასის რევა და დღის ბოლოს დაღლილობისაგან უგონოდ მეძინებოდა“. ასეა თუ ისე, ცოლქმარმა 11 ტონა ურანის მადანის ნარჩენებიდან მიიღეს მსოფლიოში პირველი დეციგრამი რადიუმის ქლორიდისა, რაც მაშინვე 75 ათას ფრანკად იქნა შეფასებული. მოგვიანებით 8 ტონა იმავე ნარჩენებიდან მიიღეს რადიუმის პირველი გრამი ღირებულებით 750 ათასი ფრანკი. მარია კურიმ მაშინ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი და საფრანგეთის სამეცნიერო სამეფო ორგანიზაციის მედალი დაიმსახურა.

1903 წელს მარიას ნობელის პირველი პრემია მიენიჭა თავის ქმართან და ბეკერელთან ერთად.

(დასასრული მე-4 გვერდზე)




1. ფორმით მსგავსი, მაგრამ შინაარსით განსხვავებული სიტყვა (**5**). 2. XX საუკუნის ცნობილი ამერიკელი მწერალი, ავტორი რომანისა „მრისხანების მტევნები (**7**). 3. რა ერქვა დიდებულ ქართველ ქალბატონს, მომღერალსა და კომპოზიტორს, გურგულიას? (**4**). 4. სასმელში გამოყენებული მცენარე, რომელიც სხვა, მყარი საკვების შექმნაშიც იღებს მონაწილეობას (**3**). 5. ცენტრალური ამერიკის სახელმწიფო (**6**). 6. რა არის „ჯავახიშვილი“ რომან „არსენა მარაბდელის“ ავტორ „ადამაშვილისთვის“? (**8**). 7. XIX საუკუნის ჩეხი კომპოზიტორი და დირიჟორი, ეროვნული მუსიკის კლასიკოსი (**8**). 8. სოფელი მარნეულის რაიონში (**5**). 9. სომეხი კომპოზიტორის, არმენ ტიგრანიანის კლასიკური ოპერა (**9**). 10. რა სიტყვა იხმარებოდა ძველ საქართველოში „ლურსმნის“ მოსახსენიებლად? (**7**). 11. ქანების ფენათა ნაოჭი, რომელიც ზევით არის ამობურცული (**10**). 12. ქუთაისის უბანი (**7**). 13. სტომატოლოგის სამუშაო ინსტრუმენტი (**6**). 14. უმარტივესი არსება, რომლის შესწავლითაც იწყება ზოოლოგიის კურსი (**6**). 15. ყველაზე შორ მანძილზე განლაგებული ანუ? (**3**). 16. იმქვეყნიურ გარემოთა შორის ყველაზე სანატრელი და სასურველი ადგილი (**4**). 17. წყლის ჭურჭელი (**3**). 18. ხელში აყვანის უხერხული სახესხვაობა (**3**). 19. სოფელი თელავის რაიონში (**5**). 20. მარცვლეულის შესანახი დიდი ნაგებობა (**6**). 21. რა ეპითეტი შეიძლება მივუსადაგოთ გვერდის დასამშვენებლად მოხმობილი ქალბატონის გარეგნობას (როგორი?) (**2**). 22. სანახაობითი ღონისძიებისათვის გაკეთებული წინასწარი განცხადება (**3**). 23. რა ჰქვია ჩვენში ზეგანზე განლაგებულ დასახლების ტიპს? (**4**). 24. ის,რაც მალე ჩვენს სადარბაზოებში გადააინაცვლებს... ამერიკელთა ნებით (**3**). 25. კომპიუტერაული საგამომცემლო პროგრამების მწარმოებელი ფირმა (**10**). 26. ჯარისათვის განკუთვნილი სურსათი (**7**). 27. უძველესი ციხე-სიმაგრე სომხეთის ტერიტორიაზე (**9**). 28. რა ჰქვია აღაზას ძმას ვაჟასეულ „სტუმარ-მასპინძელში“? (**7**). 29. როგორი ეკონომიკის პირობებში გვიხდება ახლა ცხოვრება? (**5**). 30. წყნარი და მშვიდი ვითარება ზღვაზე (**6**). 31. ცნობილი ემიგრირებული რუსი პოეტი, ნობელის პრემიის ლაურეატი (**7**). 32. რა შეიძლება „გაწყდეს“ მძიმე მუშაობისას? (**4**). 33. იმ სნეულებათა საერთო სახელი, რომელთათვისაც დამახასიათებელია შარდის ჭარბი გამოყოფა (**6**). 34. სიბინძურით დახასიათებული ადგილის მოსახსენიებელი სიტყვა (**4**). 35. ყურის ანთება (**9**). 36. დიდი ამერიკელი პოეტისა და მწერლის, პოს სახელის შემადგენელი ნაწილი (**7**). 37. სანაოსნოდ გამოსადეგი წყლის სივრცე (**8**). 38. 1970 წლის ბრაზილიის ფეხბურთელთა განუმეორებელი ნაკრების ნახევარმცველი (**8**). 39. კათოლიკური და ანგლიკანური ეკლესიის უმაღლესი სასულიერო პირი (**9**). 40. XX საუკუნის ცნობილი უნგრელი კომპოზიტორი, ბელა... (**7**).

**01–30 ქულა** — კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!
**31–70 ქულა** — მე-2 თანრიგი
**71–100 ქულა** — 1-ლი თანრიგი
**101–130 ქულა** — ოსტატი
**131–160 ქულა** — დიდოსტატი
**161–178 ქულა** — ბრავო, მაესტრო!
**180 ქულა** — ეს კროსვორდი თქვენ ხომ არ შეადგინეთ?!
(პასუხები – მე-13 გვერდზე)



თარაზულად: 1. რა არსებები უყვარს საჭმელად ყველაზე მეტად ალფის „რუსთავი 2 “-ის სერიალიდან? 4. ხელოვნური მიწისქვეშა კომუნიკაციების სისტემა. 9. ირანის ქალაქი-პორტი სპარსეთის ყურის სანაპიროზე. 17. ასურეთის დიდი დედოფალი ჩვ.წ.აღ-მდე IX საუკუნეში. 18. ასეთი ცნება ეგებ არც არსებობს, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ ანუ - „სიძველის მოყვარული“. 19. გურამ რჩეულიშვილის მოთხრობა. 22. თავისუფალი, ურითმო ლექსის სახეობა, რომლის სათავეებთან უოლტ უიტმენი დგას. 23. ერთ-ერთი პირველი და უძველესი შენადნობი ლითონებისა. 24. რომაული სამართლის თანახმად, მამაკაცისა და ქალის ფაქტიური თანაცხოვრება მომავალი ქორწინების მიზნით. 28. ცხიმის სახესხვაობა. 29. სითხის ოდენობის საზომი ერთეული. 30. მეომრებისა და საარტილერიო დანადგარების დასაცავი ნაგებობა ცეცხლისაგან. 34. რუსი მხატვარი, ავტორი ნახატისა „გოგონა ატმებით“. 35. აშშ-ს ახლახანს გარდაცვლილი ექსპრეზიდენტი. 36. დიდი ქალაქების შემადგენელი ნაწილი. 37. ვაზის მოკლედ აჭრილი წყვილმტევნიანი რქა. 42. დაკვირვება-დაზვერვის სახესხვაობა. 43. რომის იმპერატორი 98 წლიდან, ანტონიუსების დინასტიიდან. 44. საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი ისტორიული ძეგლი. 45. ჩვენთვის ერთობ ახლობელი ხომალდიც და ალკოჰოლური სასმელიც. 50. პარიზის საერთაშორისო აეროპრტის სახელი. 51. ბალზაკისეული ტყავი. 52. მამაკაცის ზედა სამოსი. 53. იტალიელი პოლიციელი. 57. რთული სიტყვების შემადგენელი ნაწილი, რომელიც „სიყვარულის, მიდრეკილების“ მანიშნებელია. 58. რა სამომავლო „ფაქტი“ შეიძლება მოჰყვეს საწინააღმდეგო სქესის არსებათა „დაუკვირვებელ“ საქციელს. 59. სამხედრო ფორმის შემადგენელი ნაწილი. 60. დოდო აბაშიძის ერთი კოლორიტული კინოპერსონაჟის სახელი. 65. ასტრონომიის მფრაველი ერთ-ერთი მუზა ცხრათაგან. 66. საგნის გარეშემოწერილობის მანიშნებელი ხაზი. 67. დღეს ერთობ პოპულარული ამერიკელი სოციოლოგი, გახმაურებული ნაშრომის ავტორი. 68. აზიის სახელმწიფოს დედაქალაქი. 73. ყველა დროის უტიტულოვანესი ქართველი მოჭიდავე. 74. XX ს ეკვადორელი მწერალი, (....) მალტა დემეტრიო. 75. როგორი ზემდგომი სუბიექტი უყვართ ქვემდგომ არსებებს? 79. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი. 80. იატაკის მოსაპირკეთებელი საშუალება. 81. საზ.კვების ერთი თანამედროვე ობიექტის მუშაკი. 82. ევროპის ჯუჯა სახელმწიფო. 87. სახარებებთან მჭიდროდ და უშუალოდ ოდენობა. 88. სლავ ხალხთა ლიდერი. 89. რა წარმომავლობა დაუმკვიდრდა მონტესუმას და მრავალ მისთანას ევროპელთა ცნობიერებაში. 90. თავაშვებული ღრეობა. 91. წმინდა საეკლესიო დანიშნულების „ინვენტარი“. 96. გაზაფხულის ერთ-ერთი თვის სახელი ძველქართულად. 97. მგლის ან ტურისთავა ღვთაება ძველეგვიპტური მითოლოგიის პანთეონიდან. 98. „ძაბრის“ სახესხვაობა. 99. „სათამაშო“ სახლი ძველ საქართველოში. 103. ქალის ერთ-ერთი უწმინდესი სახელი ჩვენს ცნობიერებაში. 104. ქალაქი-პორტი კუნძულ სარდნიაზე. 105. სპარსულად ეს სიტყვა ნიშნავს „მოქალაქეობის არმქონეს“ (უსახელმწოფოს), ჩვენს ენაში კი „უმაქნისი, უქნარა“ ადამიანის სინონიმად დამკვიდრდა. 110. დადგენილი ნორმა-სტანდარტი, რასაც უნდა შეესაბამებოდეს ესა თუ ის საქონელი. 111. IV საუკუნის დიდი სომეხი განმანათლებელი ბერი, რომელსაც სომხური ანბანის შექმნა მიეწერება. 112. უგნურებასთან წილნაყარი სუბიექტი. 113. საქართველოს უმაღლესი მწვერვალი. 118. დრაკულას შესახებ შექმნილი ნაწარმოების ავტორი. 119. სრულუფლებიანი მოქალაქე ძველ რომში. 120. 60-იანი წლების ცნობილი იუგოსლაველი ესტრადის მომღერალი ქალი. 124. ამ „ობიექტს“ სულხან-საბა „ხნარცვად“ მოხსენიებს... ნეტავი რა არის? 125. არცთუ უცნობი კარდინალი რიშელიეს სახელის შემადგენელი ნაწილი. 126. „ჩაის კუნძულის“ ძველი, ტრადიციული სახელი. 127. „ილიადაში“ ერთ-ერთი მთავარი ტროელი გმირი. 128. პიროვნება, რომელიც XX საუკუნის უპოპულარეს ადამიანთა შორის უეჭველად დასახელდება პირველ ათეულში (ჩვენ ასე გვგონია!). 133. ფრთიანი გამონათქვამის სახესხვაობა. 134. მსოფლიოს ერთ-ერთი ექს-ჩემპიონი მამაკაც მოჭადრაკეთა შორის. 135. ქუჩის სახესხვაობა ძველთბილისურ ყაიდაზე. 136. 60-იანი წლების ევროპაში მოთამაშე ცნობილი სამხრეთამერიკელი ფეხბურთელი. 140. XIX საუკუნის ქართველი მწერალი. 141. საჯარისო შენაერთი. 142. ისტორიული ჟანრის დიდოსტატი ქართველი მწერალი. 147. XVIII საუკუნის სლოვენი განმანათლებელი, მწერალი და ისტორიკოსი. 148. XIX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და გამორჩეული ფიზიკოსი. 149. რა ჰგონია „მჭევრმეტყველს“ ყველა ადგილი? 150. ქიმიური ელემენტი. 155. ცნობილი ქართველი მთარგმნელი ძმების გვარი. 156. 8-12 კილომეტრზე განლაგებული ფენა ატმოსფეროსი. 157. „გერმანელი მოქალაქე“, ასე ვთქვათ. 161. ეკვატორული თანავარსკვლავედი. 162. ერთმანეთთან სწორად შეფარდებული ნაწილების მქონე ორი რამ (როგორი?) 163. ინსტრუმენტი - ზოგადად (ასე ვთქვათ!). 164. სასტუმრო, რომელიც ტალინში ნამყოფ კაცს უეჭველად ემახსოვრება. 165. სიმღერის სახესხვაობა. 166. ქართველი საესტრადო მომღერალი, ბატონი ვახტანგი. 167. მსოფლიოს ერთ-ერთი ჩემპიონი მძიმეწონოსან პროფესიონალ მოკრივეთა შორის. 168. ცნობილი სერბი მწერალი და დრამატურგი, ბრონისლავ....

შვეულად: 1. თანამედროვე ამერიკული კინოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი რეჟისორი. 2. ზონდის კუნძულებში შემავალი ყველაზე დიდი კუნძული. 3. ილია ჭავჭავაძის მკვლელი. 5. კროსვორდებში ფრიად ხშირად ხსენებული ოპერა დიდი კომპოზიტორისა. 6. ფრანგი მსახიობი მამაკაცი ანჟელიკას შესახებ შექმნილი სერიალიდან. 7. ცხოველთა მკურნალი ექიმის საშინელი მტერი. 8. ვიაჩესლავ ტიხონოვის ერთი კინოპერსონაჟის შავყურა მეგობარი. 10. ავტორი ოპერისა „ლაკმე“. 11. თანამედროვე იტალიელი ფეხბურთელი. 12. XIX ს რუსი პოეტი. 13. ბიძია თომას ცხოვრების მემატიანის გვარის ნაწილი. 14. ქვეყნის ნაწილად გადაკეთებული სახელი. 15. კლეოპატრას ერთ-ერთი მიჯნური. 16. ხილული სამყაროს საფუძველი. 20. სატურნის კოლეგა ძველბერძნულ მითოლოგიაში. 21. მუსიკალური ინსტრუმენტი. 25. აშშ-ს საავტომობილო კომპანია... აწარმოებს „დოჯს“, „პლიმუტს“ და სხვას. 26. სოფელი თიანეთის რაიონში. 27. წესრიგის დამცავი ორგანო ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში. 31. ბატკნის ტყავისაგან დამზადებული სამოსი. 32. კლოუნების გამოსვლა ცირკის არენაზე. 33. ბელგიის საფეხბურთო კლუბი. 38. ყველაზე დიდი კონტინენტი. 39. რუსი პოეტი-დეკაბრისტი. 40. ყველა ადგილის უარმყოფელი სიტყვა. 41. საბჭოური წარმოების ტელევიზორების ცნობილი მარკა. 46. სპორტის სახეობა, რომლის არსს ვერაფრით ჩაწვდა ვაჟა ზაზაევიჩი. 47. მუსიკალური ტემპის სახესხვაობა. 48. მოლიერის ცნობილი კომედიის ოინბაზი პერსონაჟი. 49. მსახიობი, რომელიც ვაჟა ზაზაევიჩმა მიწისქვეშეთში მიავლიან მივლინებით. 54. ძველევროპული სატრანსპორტო საშუალება. 55. შუა საუკუნეების ევროპული პოეზიისათვის დამახასიათებელი სალექსო ფორმა. 56. სატრანსპორტო საშუალებათა გზის შემბორკავი საშუალება. 61. ლეილა აბაშიძის ერთი არცთუ მთავარი კინოპერსონაჟი. 62. ვარსკვლავთა კრებული ჩვენი ძველი და ლამაზი სიტყვის თანახმად. 63. ყველაზე პოპულარული ძველქართული სალექსო ფორმა. 64. ავსტრალიის ფაუნის ზოგიერთი წარმომადგენლის პრეროგატივა. 69. რა ჰქვია მსახიობს, რომელმაც „შეყვარებული შექსპირის“ სატრფოს როლი განასახიერა? 70. საბჭოური ფეხბურთის ყველაზე ტიტულოვანი წარმომადგენელი. 71. ხორცეულზე მისაყოლებელი საკვების ზოგადი სახელი 72. მეტყველების მელოდიურობასთან დაკავშირებული ცნება. 76. მთავარი პერსონაჟი ქალი სუმბათაშვილისეული პიესისა „ღალატი“. 77. ერთ-ერთი ქალბატონი მწერალი ბრონტეებიდან. 78. მარქსისა და ენგელსის „პირველი შვილი“. 83. თანამედროვე რუსი კინომსახიობი ქალი (თუნდაც ფილმიდან „ინტერგოგონა“). 84. სიტყვა რომელიც მეორე სიტყვის ზუსტი ასლია, მაგრამ სულ სხვა სიტყვაა. 85. XV-XVI საუკუნეების გერმანელი მხატვარი. 86. კალათბურთისათვის ფრიად მნიშვნელოვანი პარამეტრი. 92. წყლის ბინადართა „გალია“. 93. როგორ გააუმჯობესებდა ჩვენს ქალაქში გადაადგილებას მისი გაუმჯობესება!... რა ვიგულისხმეთ? 94. ქალაქი უზბეკეთში. 95. ციტრუსოვანი კულტურა. 100. თვითკმაყოფილი და მლიქვნელი სუბიექტი. 101. ყველასათვის ცნობილი, მაგრამ მცირედისათვის განსაცდელი გრძნობა. 102. შეთანხმების სახესხვაობა. 106. ჩრდილოეთის ნახევარსფეროს თანავარსკვლავედი. 107. სახეზე გადასაკრავი „ყვითელი გრძნობა“. 108. ილიასა და ლაბასათვის კარგად ცნობილი „ერთეული“. 109. მეფე ერეკლეს ჯარის სუსტი წერტილი... ფილმ „მაია წყნეთელის“ თანახმად. 114. კრების თანხმობა ან უარყოფა ხმათა დაუთვლელად. 115. გერმანიის ისტორიული მხარე. 116. როგორები არიან ჰიუგოს პერსონაჟები ერთ რომანში? 117. ელიზა დულიტლის მეგობარი პოლკოვნიკი. 121. გენიალური ქართველი მომღერალი. 122. სხეულისელი საწყაო სითხისათვის. 123. ჯოულის მარადიული კოლეგა. 129. სახელმწიფო აზიაში. 130. ბერლინის ცნობილი საპყრობლე. 131. სტამბის მუშაკი - ზოგადად. 132. სანაოსნოდ გამოსადეგი წყლის სივრცე. 137. „ყველაზე დიდი ღუმელის“ შემქმნელი. 138. სპეციალურად მოყვანილი მწვანე მცენარის ჩახვნა ნიადაგის გასანაყოფიერებლად. 139. (.....) რანევსკაია, გენიალური რუსი მსახიობი. 143. ქალაქი-პორტი ალასკაზე. 144. სხვადსხვა სახეობის ან გვარის ორგანიზმების შეჯვარების შედეგად მიღებული შთამომავალი. 145. საზღვაო ბრძოლის წარმართვის ერთგვარი ხერხი. 146. ლერმონტოვის პიესა „მასკარადის“ მთავარი პერსონაჟი. 151. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში – ფერადი რგოლების წარმოშობა. 152. ლენინისეული ელექტროფიკაციის გეგმა. 153. ჩვენი განედების (ადვილად საწვავი) ხე. 154. არცთუ ძალიან, მაგრამ მაინც ძვირფასი თვალი. 158. ორმოცდაათიანი წლების ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი. 159. დასავლეთ სამოას დედაქალაქი. 160. ჰოლივუდელი (.....) პიტი.

შეადგინა ვახტანგ ელერდაშვილმა

## მარია სკლოდოვსკაია-კიური

(მე-3 გვერდიდან)

ცოლქმარმა 70 ათას ფრანკად თავად დაიქირავეს ლაბორანტი, ფული გაუგზავნეს ნათესავებს და ხელმოკლე სტუდენტებს და ნამდვილი სააბაზანო ოთახი მოუწყვეს შვილებს. მარიას კი აზრდაც კი არ მოსვლია თუნდაც რაიმე უბრალო შლაპა ეყიდა თავისთვის. მისი ქალიშვილი ევა მოგვიანებით წერდა - „მე რომ დავიბადე, დედაჩემი 37 წლის ქალი იყო. როცა მე საკმაოდ ასაკოვანი ვიყავი საიმისოდ, რომ გამეგო, თუ ვინ იყო დედაჩემი, იგი უკვე სიბერისაკენ გადახრილი სახელოვანი მეცნიერი გახლდათ, თუმცა მე არასოდეს მქონია იმის შეგრძნება, რომ დედაჩემი მსოფლიო მასშტაბის მეცნიერი იყო და, ალბათ, იმიტომ, რომ თავად იგი ამას არც გრძნობდა არც ააშკარავებდა“.

კიურების ოჯახში ორი ქალიშვილი იზრდებოდა: ირენა - ნობელის პრემიის მომავალი ლაურეატი და ევა - თავისი მშობლების მომავალი ბიოგრაფი. მარია შესანიშნავი დედა იყო, მაგრამ ამას არასოდეს შეუშლია მისთვის ხელი სამეცნიერო მუშაობაში. ისიც და მისი მეუღლეც შეპყრობილნი იყვნენ იდეებით და ფანტაზიის უკიდურესი გამოვლინებით საოცრებებს სჩადიოდნენ ფიზიკის ახალ სფეროებში.

### მათ პირველებმა იწვნიეს რადიოქტიურობის საშინელებანიც...

მარია სკლოდოვსკაია-კიური 1934 წელს გარდაიცვალა და, როგორც ამბობენ, რკინის კუბოში ჩასვენებული მეცნიერი ქალი დღემდე ასხივებს რადიოაქტიურობას, რაც 30-ჯერ აღემატება დადგენილ ნორმას....



# ფანტაზიორი

რუბრიკას უძღვება
ვახტანგ ელერდაშვილი
(პასუხები მე-13 გვერდზე)

**კითხვა №1**

თანამედროვე ნორმალური ადამიანი, რომელსაც სწრაფი კითხვის არანაირი ჩვევა არ აქვს, მაინც 2-ჯერ უფრო სწრაფად კითხულობს, ვიდრე ამას ძველბერძნები და რომელები აკეთებდნენ.

**რის გამოგონებამ განაპირობა თანამედროვე ადამიანის მიერ კითხვის დაჩქარება? (9 ქულა)**

**კითხვა №2**

აქტინიების ცხოვრების წესის შესწავლისას ამერიკელმა მეცნიერმა ქალმა ლიზბეტ ფრენსმა აღმოაჩინა უცნაური მოვლენა - ზოგიერთი ორგანიზმები საერთო მტერთან იბრძვიან „ზურგით ზურგზე მიბჯენილები“. მკვლევარმა ამ მოვლენას ერთი რომანის სახელი უწოდა, სადაც პირველადაა აღწერილი ბრძოლის წარმართვის ამგვარი ეფექტურობა, თუმცა კი აღნიშნულ რომანს კვლევის ობიექტთან არანაირი კავშირი არ აქვს.

**რომელი რომანი იგულისხმება? (6 ქულა)**

**კითხვა №3**

ავანგარდისტი კომპოზიტორის, გ ბერტუისტლის ოპერაში „ორფეოსის ნიღაბი“, რომელიც 1986 წელს დაიდგა, ღმერთის როლის შემსრულებელი სცენაზე არ გამოდის და ისმის მხოლოდ მისი ხმა...

**...რადგან ღმერთის როლს განასახიერებს...? (9 ქულა)**

**კითხვა №4**

სწავლობდა რა გერმანულ ენას, მარკ ტვენმა ერთხელ ასეთი ჩანაწერი გააკეთა:

„ისინი ისეთი სიგრძისაა, რომ მათი აზრი გონებიდან მეკარგება ისევე, როგორც შორეთში მიმავალი ლიანდაგების ბოლოები...

**რა იგულისხმა მარკ ტვენმა? (6 ქულა)**

**კითხვა №5**

შუა საუკუნეებში კათოლიკური მონასტრების ბერ-მონაზვნები მორიდებით მალავდნენ საკუთარ სახეს. ერთი, მოგვიანებით წარმოშობილი ორდენის სახელში კი შემორჩა ამ ჩვევის ნაკვალევი...

**რა რელიგიური ორდენი იგულისხმება? (10 ქულა)**

**კითხვა №6**

ამის ლამაზად კეთება შეუძლიათ: ტალღას, ფოთოლს, ვაშლს და დომკრატს.

**რა ქმედება იგულესხმება? (4 ქულა)**

**კითხვა №7**

სანამ მასში არაფერი არ არის, ის ამართლებს თავის დასახელებას. როცა მასში რამეს მოვათავსებთ (...და ის სწორედ რამის მოსათავსებლად არსებობს), ის უკვე აღარ ამართლებს თავის სახელს, რადგან მისი სახელის სიტყვიერი პირველწყარო „სუფთას“ შესაბამება.

**რა საგანი იგულისხმება? (12 ქულა)**

**კითხვა №8**

ბელგიელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ცივილიზირებულ გარემოში მცხოვრები ადამიანი ამ „ინტიმურ“ საგანთან თავისი ცხოვრების 200 დღეს ატარებს, ამიტომაცაა, რომ თანამედროვე დიზაინერები განუწყვეტლივ მუშაობენ მისი იერსახის გაუმჯობესებაზე...

**რა საგანი იგულისხმება? (5 ქულა)**

**კითხვა №9**

ამერიკის საკალათბურთო გუნდის „Dream Team“-ის გამარჯვებისადმი მიძღვნილ ცერემონიალზე (ბარსელონის ოლიმპიადაზე მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ) ექვსი ამერიკელი კალათბურთელი, მათ შორის მაიკლ ჯორდანი და ჩარლზ ბარკლი გამარჯვების კვარცხლბეკზე ავიდნენ უცნაურ პირსახოცებში გახვეულნი, რომელნიც ამერიკის დროშის სრულ ანალოგიას წარმოადგენდნენ. თუმცა ეს არ იყო მხოლოდ ნაზი პატრიოტული გრძნობის გამომჟღავნება, მასში უფრო სხვა, კონკრეტული მიზეზიც ერია...

**რა? (8 ქულა)**

**კითხვა №10**

როცა დაბლაა - წითელია, მაღლა - თეთრია, თუმცა სინამდვილეში მთლად შავია...

**...რა არის? (5 ქულა)**

**კითხვა №11**

ცნობილმა კინორეჟისორმა ანდრონ მიხალკოვ-კონჩალოვსკიმ ამ უკიდურესად პოპულარულ ჟანრს „გამოსახულებათა კაკოფონია“ უწოდა...

**...რას? (6 ქულა)**

**კითხვა №12**

არსებობს ვერსია, რომ შორეულ წარსულში ახლადმონათლული ქრისტეანები ამ საქციელს იქმოდნენ იმისათვის, რომ იმიტირება მოეხდინათ ზარების რეკვისა და ამით ეშმაკები დაეფრთხოთ...

**რას ვუწოდებთ ახლა ჩვენ ამ, ჩვენთვის თითქმის ყოველდღიურად განსახორციელებელ ჩვევას? (8 ქულა)**

**პლანეტის 20 უმდიდრესი ადამიანი (დიქტატორების ჩაუთვლელად**

| gva r i, saxe l i | qveyana | Tanxa | kap i t a l is wya r o |
|---|---|---|---|
| გეიტსი უილიამ | აშშ | 90 მლრდ. | MICROSOFT |
| ბაფეტი უორენ | აშშ | 36 | BERKSHIRE HARTHAWAY |
| ალენი პოლ | აშშ | 30 | MICROSOFT |
| ბალმერი სტივენ | აშშ | 19,5 | MICROSOFT |
| ორი ჰოფმან | შვეიცარია | 19,5 | ფარმაცევტიკა |
| ანშუტცი ფილიპ | აშშ | 16,5 | ნავთობი. რკ.გზა |
| დელი მაიკლი | აშშ | 16,5 | DELL COMPUTER |
| უოლტონი ელის | აშშ | 16 | მეკვიდრეობა |
| უოლტონი ჰელენ | აშშ | 16 | მეკვიდრეობა |
| უოლტონი ჯიმ | აშშ | 16 | მეკვიდრეობა |
| უოლტონი ჯონ | აშშ | 16 | მეკვიდრეობა |
| უოლტონი ს.რობსონ | აშშ | 15,8 | WAL-MART STORRS |
| ალვალიდ ბინ თალალი | საუდის არაბეთი | 15 | ინვესტიცია |
| ბეტენკუტი ლილიან | საფრანგეთი | 13,9 | კოსმეტიკა |
| ალბრეხტი თეო | გერმანია | 13,6 | საცალო ვაჭრობა |
| ლი კა-შინგი | ჰონგ კონგი | 12,7 | უძრავი ქონება |
| ჰანელების ოჯახი | გერმანია | 12,4 | ფარმაცევტიკა |
| ენგელჰორნი კურტ | გერმანია | 12 | ფარმაცევტიკა |
| ტომსონი კენეტ | კანადა | 11,9 | THOMSON CORP. |
| ლი შო კი | ჰონგ კონგი | 11,1 | უძრავი ქონება |

## ნონოგრამა





1. რაიმე კოლექტივში შემავალ ადამიანთა ერთობლიობა. 2. XX საუკუნის რუსი კომპოზიტორი და დირიჟორი. 3. ოპტიკური ხელსაწყო. 4. გარკვეული სისტემის საბეჭდი მანქანა. 5. დედამიწის უმაღლესი მთათა სისტემა. 6. ვინ იყო სპარტაკი? 7. XIX-XX სს სომეხი კომპოზიტორი, ერევნის საოპერო თეატრის „ნათლია“. 8. საელმწიფო სამხრეთ ამერიკაში. 9. მთავარი როლის შემსრულებელი ფილმში „სპეციალისტი“. 10. იტალიელი არქიტექტორი, დონატო.... (1444-1514). 11. გერმანელი მათემატიკოსი, ლეოპოლდ.... (1823-1891). 12. სტანდარტული სათავსი შეუფუთავი ტვირთის გადასაზიდად. 13. ბაღვაშ-ორბელიანთა დინასტიის ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი საქართველოს ისტორიაში. 14. ქალაქი ბოლივიაში. 15. სიძველეთა საცავის მცველი... (სხვათა შორის, ეს თანამდებობა უკავია „12 სკამში“ ვინმე კორობეინიკოვს). 16. ძველბერძენი გეოგრაფი. 17. მუსიკალური ტემპი. 18. ორი სხეულის დამაკავშირებელი მექანიკური საშუალება. 20. მაღალი სამხედრო პირის პირადი მსახური. 21. სერიალი სტივენ სიგალის მონაწილეობით. 22. წვრილი ინგლისური ფული. 23. დიდი ინგლისელი დრამატურგი. 24. ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის პერსონაჟი. 25, რა ჰქვია თვითმფრინავის კურსის შეცვლას? 26. ქრისტეანობის გამავრცელებელი სომხეთში. 27. ყველაზე დიდი საერთაშორისო ორგანიზაცია. 28. ლიტვის საკალათბურთო გუნდი. 29. მსოფლიოს პირველი ჩემპიონი ჭადრაკში. 30. ერთ-ერთი ჩვენი მეზობელი სახელმწიფოს პოლიტიკური ლიდერი. 31. ძველ რომში საცხოვრებელი სახლის შიგნითა ნაწილი. 32. ქართული მრავალხმიანი სიმღერა. 33. საკუთარ გარეგნობაზე ზედმეტად მზრუნავი სუბიექტი. 34. სუბიექტი, რომელსაც ეგორი არ უნდა აუხირდეს. 35. დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ ერთ-ერთი მთარგმნელი ქართულ ენაზე. 36. შოლოხოვის დიდი ნაწარმეობის ერთ-ერთი მშვენიერი და კოლორიტული პერსონაჟი ქალი. 37. როგორი იყო გრიბოედოვის, ბარათაშვოილის. ლერმონტოვის და ჭონქაძის სიცოცხლე? 38. ზმნის საწყისი ფორმა. 39. რა საერთო სიტყვით შეიძლება მოვიხსენიოთ კალვინისტი და ლუთერანელი? 40 ვაშინგტონის უზარმაზარი ხუთკუთხა შენობა. 41. თამარ წერეთლის და მერი შილდელის საყვარელი მუსიკალური ჟანრი. 42. ჯანი როდარის ერთ-ერთი ლიტერატურული შვილთაგანი. 43. ზღვასთან დაკავშირებული სპორტის ოლიმპიური სახეობა. 44. ქალაქი იტალიაში, რომელსაც სტენდალმა რომანი მიუძღვნა. 45. ნივთიერება, რომელსაც გამოიმუშავებს თირკმელზედა ჯირკვალი. 46. გემრიელი საჭმელების კულინარიის ცოდნა. 47. მზის ღმერთი ეგვიპტურ მითოლოგიაში. 48. ორთქლის ან რაიმე აირის სითხედ გადაქცევის პროცესი. 49. მთავარი პერსონაჟი ვიქტორ ჰიუგოს „საბრალონისა“. 50. რაიმე სიდიდე, რომლისთვისაც დამახადიათებელია მხოლოდ რიცხვითი მნიშვნელობა. 51. რომან „დავით აღმაშენებლის“ პერსონაჟი. 52. ქალაქი ცენტრალურ მექსიკაში. 53. წვრილი ფული საფრანგეთში. 54. მსახიობი, რომელმაც ითამაშა № 36 კითხვაში ნაგულისხმები ქალის როლი კინოში. 55. კახეთის მეფეთა რეზიდენცია. 56. კარპოვიც და ბიშოვეციც. 57. საბჭოური საავტომობილო წარმოების ერთ-ერთი ცენტრი. 58. მცირე ზომის ჯიბის დანა. 59. ძალის საზომი ხელსაწყო ფიზიკაში. 60. მიწის განძეულობის მცველი სკანდინავიურ და გერმანულ მითოლოგიებში. 61. თენგიზ არჩვაძის ერთი ცნობილი კინოპერსონაჟის სახელი. 62. ქალაქი, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ლეონარდო და ვინჩი. 63. კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი დაჯგუფების არატრადიციული სახელი. 64. XX საუკუნის ფრანგული ხელოვნების მიმდინარეობა, რომლის ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი ანრი მატისი იყო. 65. ქალაქი მოლდოვაში. 66. რუსი მოთხილამურე ქალი, ყველა სახის დიდი რანგის შეჯიბრის მრავალგზის ჩემპიონი. 67. მკვეთრად გამოხატული სხვაობა. 68. ნახევარკუნძული ეგვიპტეში, სუეცისა არხის სიახლოვეს. 69. ქვეყნის პრეზიდენტის გადაყენების პროცედურა. 70. თანავარსკვლავედი, რომელსაც მითიური მონადირის სახელი ჰქვია. 71. მიგელ დე სერვანტეს სააველრას პატრიოტული ტრაგედია. 72. ცნობილი სანქტ-პეტერბურგელი მსახიობი ქალი პუშკინის სახელობის თეატრიდან. 73. რა ჰქვია პარლამენტს ისლანდიაში? 74. დუელიანტთა ბრძოლის საწყისი განლაგება. 75. ძვირფასბეწვიანი მღრღნელი. 76. ახლადშექმნილი საბჭოთა ქვეყნის „გადამრჩენელი“ ეკონომიკის აბრევიატურა. 77. ავტორი რომანისა „რობ როი“. 78. სიტყვა „ესკორტის“ არაბულ-ქართული სინონიმი. 79. „ფორტეს“ საპირისპირო მუს. ცნება. 80. ინგლისელი ფიზიკოსი და ქიმიკოსი, რომელიც სამუდამოდ დაუწყვილდა ფრანგ მარიოტის. 81. ყველაზე ცნობილი სახელი იაპონური კინოხელოვნებიდან. 82. კერკ დუგლასის ყველაზე პოპულარული კინოროლი. 83. ფრანსუა რენე შატობრიანის მოთხრობა. 84. თეატრალური სპექტაკლი, სადაც მეტყველება საჭირო არ არის. 85. დიდი გერმანელი ფილოსოფოსი. 86. ერთობლიობა მდინარის, ტბის და ზღვის წყალში მცხოვრები მიკროორგანიზმებისა, რომლებსაც გადაადგილება არ შეუძლიათ და წყლის დინებას გადააქვს. 87. ცუდი სუნის მქონე ხე-ბუჩქი. 88. ფულის ერთეულის ნაწილი დიდ ბრიტანეთში.

**შეადგინა ალ.ელერდაშვილმა**

# აფორიზმების ანთოლოგია

**440**. მახვილი ჭკუა გამადიდებელი შუშაა, მახვილსიტყვაობა - დამპატარავებელი.

**გეორგ ლიხტენბერგი**

**441**. სხვისი მახვილსიტყვაობა მოსაბეზრებელია.

**ლუკ დე ვოვენარგი**

**442**. არასოდეს გამოიყენო მახვილსიტყვაობის იარაღი უიარაღოსთან „ბრძოლისას“.

**უცნობი ავტორი**

**443**. რა ბედნიერი იყო ადამი! როცა მას ხუმრობა მოესურვებოდა, ვერავინ დასწამებდა იმას, რომ სხვის ხუმრობას იმეორებს.

**მარკ ტვენი**

**444**. უხეშობა დეგენერატების მახვილსიტყვაობაა.

**ანდრე მორუა**

**445**. კალამბური მახვილსიტყვაობის უმდაბლესი ფორმაა.

**აირა გერშვინი**



**446**. ანგელოსებს იუმორის გრძნობა რომ ჰქონოდათ, მე სატანის დამარცხებას ვირწმუნებდი.

**სტანისლავ ეჟი ლეცი**

**447**. თუ ხუმრობა სერიოზულობით ინიღბება, ეს ირონიაა, და თუ პირიქით - იუმორია.

**არტურ შოპენჰაუერი**

**448**. იუმორი ეს არის სიმართლე... სიცოცხლისათვის უსაფრთხო დოზით.

**უცნობი ავტორი**

**449**. ადამიანი, რომელიც მცირეოდენ მაინც არ არის იუმორისტი, მცირეოდენი ადამიანია.

**ჰერბერტ ჩესტერტონი**

**450**. იუმორი, ალბათ, ერთადერთი საშუალებაა, რაც ადამიანს განასხვავებს პირუტყვისაგან... და სხვა ადამიანისაგან.

**სტანისლავ ეჟი ლეცი**

**451**. ცინიზმი ცუდ ხაისთზე გამოვლენილი იუმორია.

**ჰერბერტ ჯორჯ უელსი**

**452**. თუ ადამიანს არ აქვს იუმორის გრძნობა, მას იმის გრძნობა მაინც უნდა ჰქონდეს, რომ მას არ აქვს იუმორის გრძნობა.

**უცნობი ავტორი**

**453**. ასაკის მატებისას ქალები მთელ იმედს კოსმეტიკაზე ამყარებენ, კაცები კი - იუმორის გრძნობაზე.

**უცნობი ავტორი**

**454**. თავისუფლება ირონიით იწყება.

**ვიქტორ ჰიუგო**

**455**. ირონია ეს არის შეურაცხყოფა, რომელსაც კომპლიმენტის ნიღაბი უკეთია.

**ედუარდ უიპლი**

**456**. ირონია ჩაგრულთა იარაღია; ძლიერთა ამა ქვეყნისათა ეკრძალებათ მისი მოხმარება.

